

საქართველი



საერთო უკრაინული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 9 ივლისი 1998 №115 (650) ჯასი 50 თეთრი

საფრანგეთი — ხორვატია 2:1

REUTERS სენ დენიდან



საქართველოში
გაზეთების
ცენზურის
აქტივობები

ფრანგთა მარჯვენა მცველი ლილიან ტურამი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, დაცვაში ხომ ბადალი არ ჰყავს და გუშინ ფრანგები ფინალშიც პირადად გაიყვანა

ქვეყნის კომენტარი *ვლადიმერ პანოვი* საქართველოს ხარისხის მწვინის თანაშემწე

ბონალოტო რომ ფრანგი იმოს...

...საფრანგეთი ნაღამ ჩემპიონი იქნებოდა. ახლა ცოტა საეჭვოა. მასპინძლებს შუა ხაზზე კარგი ფეხბურთელებით ჰყავთ დაკომპლექტებული, დაცვა გონივრულად თამაშობს. აი, მეგობრე თავდასხმელები კი აშკარად აკლიათ. ზიდანის შრომობს, ოფლის ღვრის, ერთმანეთზე უკეთეს პასებს ანაწილებს, მაგრამ უბედურ შემთხვევაში შეტევებს სწორედ თავდასხმელები უკარგავენ სიმწვავეს. გუშინ კი არაფერი შეუქმნიათ. ორივე გოლიც დაუღალავმა, ბრწყინვალე მცველმა ტურამმა არ შეაგლო?

ყველაფრის მიუხედავად, ფრანგებმა მაინც სოლიდური გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, მაშინაც კი, როცა მოედანზე ათნი დარჩნენ, ვაკუაცურ ფეხბურთის თამაშობდნენ, კაცნაკლულნი ხორვატთა შე-



ტევას შეტევი-თვე პასუხობდნენ. ბლანის გაძევებამ მასპინძლებს საქმე გაურთულათ, დაცვის შემკველი ფეხბურთელია და ფინალში მის თანაგუნდელებს ბევრი პრობლემა შეექმნებათ.


ხორვატიამ კი ჩემი უდიდესი სიმპათია დაიმსახურა. ამ ბიჭებმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღეს და ჩემპიონატს თავაწეულნი ტოვებენ. კაცს სიტყვა არ დასცდება, ენა არ მოუბრუნდება ხორვატებზე აუვის სათქმელად. ახლა მათ შესაძლებელია ადგილისთვის მატჩი ელით და, მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიაც მესამათაურება, მაინც ხორვატებს უუქმავებ. ამ გუ-

ნდამ ყველას უჩვენა, მონდომებასა და თავდადებას რა შეუძლია.

ფინალს რაც შეეხება, 12-ში მოთამაშე გუნდები აღრევე გამოვიცანი. საფრანგეთი — ბრაზილია მართლაც იმსახურებენ გადამწყვეტი მატჩის თამაშს. ვფიქრობ, წაგება არც ერთისთვის იქნება ტრაგედია, ორივემ თავისი გააკეთა, თუმცა ფსიქოლოგიური უპირატესობა უფრო ბრაზილიელთა მხარესაა. ფრანგებისგან ხომ ყველა პირველად გაჩემპიონების მოლოდინშია. „სენ დენზე“ მართლაც ლამაზი სანახაობა გველის, მაგრამ ექვ შაკემ თუ გუშინდელი მატჩის შემდეგ რაღაც კორექტივები არ შეიტანა გუნდის თამაშში, ფრანგებს ძალიან გაუჭირდებათ ბრაზილიელთა დამარცხება.

ბრწყინვალეთა დაპირისპირება

ემზარ ზინაიზვილი „სარბიელის“ საგანგებო კორესპონდენტი ბარნიზიდან



საფრანგეთის სტადიონებში ტევადობით მეორე, მარსელის „ველოდრომზე“ პირველი ნახევარფინალის მონაწილენი წინა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალშიც დაუპირისპირდნენ ერთ-

მანეთს. მაშინდელი, ამერიკული შემადგენლობიდან საფრანგეთში ექვის ფეხბურთელი იყო — ორი ჰოლანდიელი — ბერესკამპი და იონკი, ოთხიც ბრაზილიელი — ტაფარელი, ალდარი, დუნგა და ბებეტო.

მსოფლიოს ოთხეზის ჩემპიონი დღემდე გამართული თხუთმეტევე პირველობის ფინალურ სტადიონში მონაწილეობდა, სულ ჩაუტარებია 73 მატჩი, აქედან 49 გამარჯვება, 11 წაგება(მოგებათა პროცენტი 67), გაიტანეს 159 ბურთი, მიიღეს 68. ცხადია, უფრო მოკრძალებულია ჰოლანდიელთა შედეგები — მონაწილეობა მხოლოდ ექვს ჩემპიონატში, 25 მატჩიდან 11 გამარჯვება(44 პროცენტი) და 8 დამარცხება, გატანილი 43 და მიღებული 29 ბურთი. პირად შეხვედრებში მცირე უპირატესობა მსოფლიოს ჩემპიონთა მხარეს იყო.

ფინალი
12 ივლისი, კვირა
ბრაზილია — საფრანგეთი
სა 6 დეკ. 23⁰⁰

მატჩი გე-3 აღვილისთვის
11 ივლისი, შაბათი
კოლანდია — ხორვატია
პარიზი. 23⁰⁰

იხილეთ შედეგები გვერდი

ფინალი ნახევარფინალი

ბრაზილიის ნაკრები აქამდე ჩატარებულ თხუთმეტივე მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა. საფრანგეთი 98 მეტექსმეტეა მისთვის და გადაწყვეტ, ფინალურ შეხვედრაში მეტექსმეტე მონაწილეობს. წინა ხუთი ფინალიდან ბრაზილიელებმა ოთხში გამარჯვებს და, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ის ერთადერთი გადამწყვეტი მატჩი მათ შინ, „მარაკანას“ სტადიონზე წააგეს 1950 წელს ურუგვაის ნაკრებთან. მაშინ მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ მსოფლიოს ჩემპიონობის გემო და ამიტომაც ძალიან უნდოდათ პირველად, თანაც საკუთარ ჭერქვეშ მიეღწიათ უმაღლესი მწვერვალისთვის. პირველი ტაიმი ბრაზილიელებმა 1:0 მოიგეს და გასახდელისკენ საკუთარ ძალებში ზედმეტად დარწმუნებულნი გაემართნენ. ამ დროს კი ურუგვაელთა თავკაცმა თავის შეგირდებს უჩვენა იმ დღეს, დილით, გამოსული ერთ-ერთი ბრაზილიური გაზეთი, სადაც ფურნალისტიკა უკვე ულოცავდნენ თავიანთ კერპებს გამარჯვებას. ეტყობა, ამ ხერხმა გაჭრა და უსაზღვრო ღიზით ანთებულმა ურუგვაელებმა მეტოქეს უძლიერესის ტიტული ცხვირწინ ააცალეს. ის თამაში 2:1 დასრულდა — ურუგვაის ნაკრები მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. მას შემდეგ 48 წელი გავიდა. როგორც უკვე ვთქვით, ამ 48 წლის განმავლობაში ბრაზილიელები ოთხჯერ გაივლინენ ფინალში — 1958, 62, 70, 94 წლებში და ოთხჯერვე მოედანზე თავაწეულებმა დატოვეს. და აი, ჯალიქართა გუნდი კვლავ მიაღწა ტურნირის ბოლო ბარიერს. თუ რა მოხდება ამჯერად, ამას სულ მალე, 12 ივლისს შევითვობთ, მანამდე კი პოლანდიის ნაკრებთან გამართულ ნახევარფინალურ შეხვედრაზე ვთქვათ ორი-ოლე სიტყვა.

ჩემპიონატის დაწყებამდე პოლანდიელებს ასეთ თამაშს და შედეგს არ უწინასწარმეტყველებდნენ. ეს გუნდი



დენისონი ერთადერთია ფეხბურთის ისტორიაში, ვისაც ლეგენდარულ გარინჩას ადარებენ

სბურთო სკოლის წარმომადგენლებს, იუგოსლავიის ნაკრებს და უპირისპირდნენ, მერე არგენტინის ძალიან ძლიერ გუნდს და ბოლოს ბრაზილიას — მართლაც ურთულესი გზაა. პოლანდიელები სხვა ნებისმიერ ნაკრებს მოუგებდნენ, მაგრამ ბრაზილიელებს ზეწოლას კედარ გაუძლეს. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, ისინი ერთმანეთს ფინალში შეხვედროდნენ, სამართალი მაშინ უფრო იზიქებოდა. თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში გადამწყვეტი მატჩამდე ძალიან ბევრი ისეთი შეხვედრა გამართულა, ხალხს უთქვამს, ფინალსაც დაამწყვდევდა. ჩემი აზრით, საფრანგეთში ორი ასეთი თამაში ჩატარდა: არგენტინა — ინგლისი და ბრაზილია — პოლანდია. რას იზამ, ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც ჩვენ, გულშემატკივრებს გვიდა. მოკლედ, გუშინწინ „ველოდრომის“ სტადიონზე ორი უძლიერესი ნაკრები წარდგა ერთმანეთის წინაშე

და მსოფლიოს დიდებული 120 წუთი არუქა. რა შეიძლება ითქვას ამ თამაშზე? უპირველესად ალბათ, ის, რომ გუნდები თანაბარი დონისა იყვნენ. ამიტომაც უპირატესობას ხან ერთი ფლობდა და ხანაც მეორე. სამხრეთამერიკელები ინდივიდუალურად ირავებოდნენ ბრწყინვალედ, ხოლო ევროპელები — კომბინაციურად და ძირითადი დროც ლოკიკურად დასრულდა ფრედ. ხოლო შემდეგ მოხდა ის, რასაც თითქმის ყველა ელოდა. ელოდა იმიტომ, რომ, მოედანზე გამოჩნდა კაცი, უფრო სწორედ, ბიჭი, რომლის ამოკეტვას ვერაინი მწვრთნელი და სპეციალისტი ვერ გასწავლის, ბიჭი, რომელსაც სამართლიანად ადარებენ ლეგენდარულ გარინჩას. 20 წლის დენისონი მოედანზე 70-ე წუთზე შევიდა და აარონ ვინტერს შავი დღე აყარა. მისი ფინტების შემხედვარე ვინტერს კი არა, ტელევიზორთან მჯდომ უამრავ გულშემატკივარს ვერ გაეგო, როგორ შეიძლება ეს ჩვეულებრივმა მოკვდავმა გააკეთოს და რა უნდა დაუპირისპირო მას. ამ მსოფლიოს ჩემპიონატს აშკარად აკლდა ასეთი

ბდნენ თამაშს, მაგრამ არ გამოგვივიდა. რას იზამ, ხან წააგებ, ხან მოიგებ, თუმცა მაინც ძალიან მწყინს, ასე უაზროდ რომ დაემარცხდით, ჩვენ უძლიერესი ნაკრები გვყავდა“.

თავის კაპიტანს ფილიპ კოკუც დაეთანხმა: „ეს არ იყო წასაგები თამაში, რადგან პოლანდიას თავის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები ჰყავდა. დარწმუნებული ვარ, ბრაზილიელებს ჩვენი უშიშროდ კიდევ მათი დამარცხება არ იყო ისეთი ძნელი, როგორც ბევრს ჰგონია, უბრალოდ, არ გავვიმართლა“.

ვერაფერს იტყვი, თამაში განცხადებაა. სხვათა შორის, ამ აზრს პიტერ ვან პოიდონკიც იზიარებს, რომელმაც აღნიშნა, რომ დამატებითი დროის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე მას მისიურზე დაჰქანეს და მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა. პოიდონკის დასკვნა ასეთი იყო — უკეთეს გუნდს შაბათს (ამ

დღეს გაიმართება მატჩი მესამე რაუნდისთვის) მოუწევს წაგება. პოლანდიელთა ქაღალი ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევას ჰგავს. თუმცა დროა, გამარჯვებულების აზრიც გავიგოთ. მათი თავკაცის ემოციებმა ჯერ კიდევ პენალტების სერიის დასრულებისთანავე იფეთქა: „ეს დიდებული გამარჯვება იყო, რომლითაც ბრაზილიელებს კიდევ დიდხანს შეუძლიათ იამაყონ. ჩვენ ვასახველეთ ჩვენი ერთი და ღირსეულად გავედით ფინალში. პოლანდიასთან წაგება და შინ ნადრევედ გამეზავრება კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა, მაგრამ საბედნიეროდ, ასე არ მოხდა — ჩვენ ვაგრძელებთ წინსვლას, ჩვენ აუცილებლად უნდა გავხდეთ მსოფლიოს ჩემპიონები, იმიტომ, რომ ეს დავიძნასურეთ. ბრაზილიაში დიდი თუ პატარა ჩვენგან ამას ელის და უბრალოდ, უფლება არა გვაქვს, მათ იმედები გავუცხოოთ. რაც შეეხება თავად თამაშს, მართალია, იგი პენალტებით მოვიგეთ, რისი მომხრეც არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ფაქტია — დღეს უძლიერესმა გაიმარჯვა. თერთმეტმეტრიანი დარტყმების დაწყებამდე თითოეულ ფეხბურთელთან მივედი და ვკითხე, დაარტყამდა თუ არა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამხელა სისხარულის და სიამაყის გრძნობა დამეუფლა, როცა ყოველმა მათგანმა დადებითად მიასუსა. არჩევანი მე უნდა გამეკეთებინა, ვფიქრობ, არც შეგმცდავარ. განსაკუთრებით ემერსონმა გამახარა, მას ვარჯიშებზე ვაკვირდებოდი და ვიცი, რომ აუცილებლად გაიტანდა. მოკლედ, ყველა ჩინებულად ითამაშა, დიდი მადლობა მათ“ — განაცხადა თვალყრემლიანმა მართო ზავალიამ.

სიხარულს ვერ ფარავდა მსოფლიოს ოთხჯერის ჩემპიონთა მეკარე ტუფარელი: „დარწმუნებული ვიყავი, დე ბური მარჯვნივ დაარტყამდა და ასეც მოხდა, თუმცა არ მინდა საკუთარ თავზე საუბარი, ეს მე არ მჩვევია. ამ მატჩში ვინმეს გამოყოფა უძრთებულ იქნება. გამარჯვება ყველას გვეკუთვნის. დღეს ღმერთი ჩვენს მხარეს იყო, ალბათ იმიტომ, რომ დავიძნასურეთ“.

ასე და ამგვარად, კიდევ ერთი დიდი მატჩი ჩაბარდა ისტორიას, მატჩი, რომელმაც უფრო გაალამაზა მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი. სამწუხაროა, რომ პოლანდიის ნაკრები რომ შინ მიემგზავრება, მან ხომ დიდებულად იასპარეზა. მაგრამ რა გაეწყობა. წინ კი 12 ივლისია, დღე, რომელიც ბრაზილიელთათვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ აქვთ შანსი, 21-ე საუკუნეში ფიფისთვის დასრულდეს შაბათი.

დავით კოზირიძე



დიდ ფეხბურთის ცრემლებიც უხდება

მლიერ, მაღალი დონის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ კოლექტივს წარმოადგენს, მაგრამ სპეციალისტთა და რიგი გულშემატკივრების აზრით, იგი არგენტინელთა მომგები არ იყო. თუმცა ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ევროპელებმა მშვენივრად განვლეს გზა მეოთხედფინალამდე და არგენტინელებსაც აჯობეს. დღესდღეობით ვერაინ იტყვის, პოლანდია საუკეთესო ოთხეულში დაუშვასხურებლად მოხვდაო, რადგან ეს იყო ერთადერთი ნაკრები ამ ჩემპიონატზე, რომელიც ბოლომდე გუნდურ, კომბინაციურ თამაშს აჩვენებდა და თანაც ამას ვარსკვლავები ქმნიდნენ. თუნდაც არგენტინელთა კარში გატანილი პირველი ბურთი გავისხნოთ, ასეთი გოლების ნაკლებობა საფრანგეთში ყველაზე უფრო იგრძობოდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ პელემ და დიეგო მარადონამ ამ გოლს საუკეთესო უწოდეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ნარინჯისფერებს“ არ გაუმართლათ — ისინი ჯერ საკმაოდ უხერხულ ვჯვრდები მოხვდნენ, შემდეგ ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე დიდი და მდიდარი საფე-

და მსოფლიოს დიდებული 120 წუთი არუქა. რა შეიძლება ითქვას ამ თამაშზე? უპირველესად ალბათ, ის, რომ გუნდები თანაბარი დონისა იყვნენ. ამიტომაც უპირატესობას ხან ერთი ფლობდა და ხანაც მეორე. სამხრეთამერიკელები ინდივიდუალურად ირავებოდნენ ბრწყინვალედ, ხოლო ევროპელები — კომბინაციურად და ძირითადი დროც ლოკიკურად დასრულდა ფრედ. ხოლო შემდეგ მოხდა ის, რასაც თითქმის ყველა ელოდა. ელოდა იმიტომ, რომ, მოედანზე გამოჩნდა კაცი, უფრო სწორედ, ბიჭი, რომლის ამოკეტვას ვერაინი მწვრთნელი და სპეციალისტი ვერ გასწავლის, ბიჭი, რომელსაც სამართლიანად ადარებენ ლეგენდარულ გარინჩას. 20 წლის დენისონი მოედანზე 70-ე წუთზე შევიდა და აარონ ვინტერს შავი დღე აყარა. მისი ფინტების შემხედვარე ვინტერს კი არა, ტელევიზორთან მჯდომ უამრავ გულშემატკივარს ვერ გაეგო, როგორ შეიძლება ეს ჩვეულებრივმა მოკვდავმა გააკეთოს და რა უნდა დაუპირისპირო მას. ამ მსოფლიოს ჩემპიონატს აშკარად აკლდა ასეთი



ცოტაც და ამ ბრაზილიელი ქომაგის სიხარულს საზღვარი არ ექნება

ოლიში
საბოლოო ადგილი
მეხუთე
სტადიონი: ცენტრალური — 7500
1990 წლიდან თამაშობს ეროვნული ჩემპიონატის **A** ჯგუფში.
ჩაატარა 273 მატჩი. მოგება — 111. ფრე — 37, წაგება — 125.
ბურთების შეფარდება: 449:470.
რეკორდული მოგება — 9:3.
13.06.94 — მალაროელი
რეკორდული წაგება — 1:11.
16.05.95 — დინამო, თბილისი
ყველაზე მეტი გოლი **A** ჯგუფში — გაბისონია 40
ყველაზე მეტი მატჩი **A** ჯგუფში — თუთბერიძე 172

**«ოლიშის»
ხაზგახსნი
მაგისტრი
ჩემპიონატში**

	მ	ს
მალაროელი	4:1	3:1
ლოკომოტივი	0:2	0:0
გურია	1:0	1:1
ვიტ ჯორჯია	4:0	1:0
სამგურალი	4:0	1:0
დინამო	1:5	0:4
დილა	3:0	0:3
მარგვეთი	2:2	2:0
მერანი	1:0	0:6
ტორპედო	0:0	1:4
რუსთავი	3:2	0:3
ბათუმი	1:4	0:1
კალთეისი	1:3	1:0
თსუ	1:0	2:1
სიონი	4:2	0:6

	მ	გ	წ	წ
ახვლედიანი	30	0	2	0
კლანდაძე	30	17	1	0
ლურსმანიძე	28	2	1	1
ენდელაძე	25	6	3	1
ტყეშელაძე	23	1	2	0
ტყეშელაძე	23	0	4	0
სილოღვაძე	21	-29	0	0
ჩადუნელი	20	1	3	0
ცქიფურიშვილი	19	0	1	1
კანდარაშვილი	15	1	1	0
აბაჯაფარიძე	13	0	0	0
რევაზიშვილი	13	1	1	0
ნიჭაიშვილი	13	4	2	0
ციციანი	11	2	0	0
გაბელია	10	-23	1	0
თოლორაძე	10	1	0	0
ისიანი	10	0	0	0
ბარჩაია	9	6	0	0
მარქაია	8	0	1	0
ქიაივა	8	0	1	0
იოსავა	7	0	0	0
გელა ქორიძე	6	0	1	1
ყვარაძე	6	0	0	0
ლაკაბიძე	5	0	0	0
ჯორჯიანი	5	0	0	0
მურღულია	4	0	1	0
დათუაშვილი	3	0	0	0
შედანი	3	0	0	0
ჯორჯია	3	0	0	0
აკობია	2	0	0	0
წკეცეცკიერი	2	0	0	0
თოლორაძე	2	0	0	0
სილაგაძე	2	0	1	0
დიდიძე	1	0	0	0
ივარდაძე	1	-2	0	0

შ-შინ; ს-სტუმრად; თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი

„ოლიშმა“ წლებად ჩემპიონატში მეხუთე ადგილი დაიკავა, რითაც თავისი საუკეთესო შედეგი გაიმყარა. ლოკომოტივისთანავე, გუნდის გულშემატკივრები უნდა ხარობდნენ, სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქითაა. აქედანაც ჩანს, ყველაფერი რიგზე რომ ვერაა. არაა, რა კარგი იყო დასაწყისი.
სტარტისთანავე „ოლიში“ ლიდერები გაერია. დიდხანსაც იყო დაწინაურებული, მაგრამ მერე ტემპს უკლო, თუმცა პირველი წრე მაინც მესამე საფეხურზე დაამთავრა. ევროსაგზაუროსთვის ბრძოლაში „ოლიშს“ 7 ქულიანი უპირატესობა გააჩნდა უშუალო მეტოქეებთან — „კოლხეთთან“ და „ტორპედოსთან“. თანაც მთელ წრეში ორივეს შინ იღებდა. ამას უკეთესს რას ინატრებდა კაცი.
მაგრამ მოხდა ის, რაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი. გუნდმა იოლა დაგანია პირველი წრის მონაპოვარი. ეს მით უფრო დასანანი გახლდათ, რომ არც ქუთაისელები და არც ფოთელები გამოირჩეოდნენ სტაბილურობით.
„ოლიშის“ ყოველი წარმატებულობისას ისმოდა კითხვა — რა ჭირს გუნდს და საერთოდ უნდა თუ არა კლუბის პრეზიდენტ ვახტანგ ნანავას, „ოლიშის“ ევროპა-

30 ტური

დინამო	3024	2	86:157
ბათუმი	3018	5	58:196
კოლხეთი	3017	6	75:275
ტორპედო	3015	9	65:305
ოლიში	3015	4	143:514
ლოკომოტივი	3012	8	103:374
მერანი	3013	7	103:339
თსუ	3011	6	135:339
დილა	3011	4	153:363
ვიტ ჯორჯია	30	9	122:376
რუსთავი	3010	4	163:413
სამგურალი	30	9	714:503
სიონი	3010	6	149:473
გურია	30	6	915:582
მალაროელი	30	7	518:592
მარგვეთი	30	2	721:751

„მერანს“ დაკლებული აქვს 7 ქულა, „დინამოს“ და „სიონს“ — 5-5

მარს ბატანაშვილი უანსი

ში გაყვანა, თუ ეს აქტიურობა მხოლოდ მცდელობის ინიციატორია.
ასეა თუ ისე, „ოლიშმა“ სრული ფინალის განიცადა. ზუგდიდური კლუბის თავზე საადრეოდ დარეული პირველად 1997 წლის იანვარში ჩამოწვა. „ოლიშის“ მამულში პრეზიდენტი პარლამენტარი ბეჟან გუნავა ფინანსურ სინოვლებს განიცდიდა ამ პერიოდს დაემთხვა ზუგდიდში გაკრეკილი ერთი ლეგენდაც.
— ჩვენგან ბიზნესმენი ვახტანგ ნანავა იქ, ევროპაში დიდ ფულს აკეთებს, ჩამოსული ყოფილი და „ოლიშის“ მთავარ მწვრთნელ მურთაზ ზურცილავას შეხვედრისა. სევდიანობის მიზეზი უკითხავს და პასუხად მოუსმინა, უფრო ვართ. რამდენია საჭირო გუნდის შესანახად, უკითხავს ნანავას და პასუხი რომ მოუსმინა, მეგრად დიდ თანხას დამისახლებდით, ვერაა, თუ ჩემს დახმარებას არ იუკადრისებთ, მოიფიქრეთ დლა აქ არ ვართ?
ასეც მოიქცნენ ქალაქის თავაკები, უხმეს პოლიციელებს დასამხმარებელი, რომელიც, ჩამოვიდა თუ არა. უფროსი მწვრთნელი დაიბრუნა.
„ოლიშმა“ მერე ჩემპიონატის მთავარ წრეში იმ იმდენი დაასრულა, რომ 1997 წლის ზაფხულიდან უფრო მეტს მიღწევას შეუძლებდა. ვახტანგ ნანავაც ზედმეტად გულშემატკივრებს, აქეყნებდა განცხადებებს პრესაში, გაიცა ხელფასები და პრემიები და, რაც მთავარია, იყო დაბრუნება, რომ „ოლიში“ ადრე თუ გვიან აუცილებლად გახლდათ ანგარიშგასწავლი გუნდი, მოთამაშეებისთვის და ევტრანაგებისთვის გაიცემა საბანკო, სოციალური კრედიტები და ა.შ.
ნანავას სიტყვას მიმდობი ზურცილავა მოტყუებული აღმოჩნდა, თავიდანვე ნათელი იყო, რომ ახალი პრეზიდენტის მიერ ნაქდავები ფინანსური სიდიდე მეტისმეტად გაზვიადებული იყო.
პირველი ეჭვი მაინც გაჩნდა, როდესაც ნანავამ „ოლიშს“ „ჩულოვანი გარანტი“ შესთავაზა. გუნდს უარი უნდა ეთქვა მეტელი ვალების გადახდაზე, რადგან ახალ პრეზიდენტს სურდა, თავისი მოღვაწეობა „სუფთა ფურცლიდან“ დაეწყო. გუნდი დათანხმდა. როგორც კი მე-7 ჩემპიონატი დაიწყო, მიუხედავად მისი თანამეგობრების წინააღმდეგობისა, გუნდიდან დაითხოვეს მურთაზ

ზურცილავა. პირველი წრეში გუნდი ლიდერობდა, მაგრამ მისი გაძლიერების მაგივრად საპირისპირო რამ მოხდა. გუნდიდან ბოლონეთში მიდინა მიქაძე, ლაცაბიძე, თოლორაძე, გაბელია.
ზამთარში ნანავამ ვერ მოახერხა გუნდისთვის შეკრების მოწყობა. „ოლიში“ გაუგებარი ცვლილებები მოხდა — წავიდნენ დიან შეთამაშებული ფეხბურთელები: ივანიანი, ანჯაფარიძე, რევაზიშვილი, კადარაშვილი, ახლები კი მალე ვერ შეიქმნნენ გუნდურ თამაშს.
მაშინ, როდესაც კონკრეტული გუნდები თანდათან მიიგრდებიდნენ, „ოლიში“ სულ უფრო და უფრო უკან მიდიდა. გაჩნდა აზრი, რომ ნანავა ფეხბურთელებს გუნდის სარჩენად მკითხველი, იყო სხვა მოსაზრებაც — ნანავა არჩენს გუნდს, ფეხბურთელები რომ გაჰყვიროს...
მერე დაიბრუნდა ხმები, თითქოს „ოლიშის“ პრეზიდენტი გადასვლას აპირებდა ჯერ ლანჩუხტოში, მერე კი რუსთავში, საბოლოოდ კი მისი გადასვლის ადგილი გაურკვეველი დარჩა. ნანავამ წასვლაზე ფიქრის მიზეზად ქალაქის თავაკთა გვერდზე ამოუდგომლობა დასახსელა, თუმცა თავიდანვე თეოთონევი იკისრა მთელი პასუხისმგებლობა და განაცხადა, მაგათი მხარში დგომა, ხელს თუ არ შემოშობს ეს იქნება.
მაგრამ არ შეიძლება, იმედი რომ დაკარგონ ზუგდიდელებმა. გუნდი ამას უარეხი მედომარობიდანაც გამოსულა.
1997 წელს ქალაქში რთული ვითარება იყო და პირველი წრის თამაშები ნეიტრალურ სტადიონებზე ტარდებოდა. პირველი წრე „ოლიშმა“ 4 ქულით დაამთავრა, მაშინ, როცა მის შემადგენლობაში 17-20 წლის ბიჭები შედიოდნენ.
აი, მთავარი წრეში კი გუნდმა ნამდვილი სენსაცია მოახდინა — 33 ქულის დაგროვება შესძლო, იმდენივესი, რამდენიც თბილისის „დინამომ“.
ფაქტობრივად, „ოლიში“ გაეარდნას ბიჭების მონდობებისა და დიდი ნებისყოფის საშუალებით გადარჩა.
ახლაც იმის იმედითაა, „ოლიში“ რომ მიიმდინოს დადგეს, გაუნდებდა პატრონი, რომელიც გუნდს გვერდში ამოუდგება, გააძლიერებს.


რომან გაბისონია

მოსკოვში აპერიკას ვაჟი!

მოსკოვში მოსვლის ახალგაზრდულ თამაშების გახსნა ცერემონიალი ჯერ არ ჩატარებულა, საფეხბურთო ტურნირი კი უკვე დაიწყო. ვიდრე ქართული დღეგაყვანა დღეს მოსკოვს ჩავიდეთ ჩვენმა 16 წლამდელთა ნაკრებმა თავისიანებს პირველი გამარჯვება დაახვედრა. ქართველმა ფეხბურთელებმა, რომლებსაც ვახტანგ კობახიძე უწინააღმდეგავეს, გუნდის აშშ-ის ნაკრები დაამარცხეს — 1:0. გოლი პირველი ტაიმის მიწურულს რევაზ გოციანიძემ გაიტანა.

...მწვრთნელი, დასაპარბაპი?

გან რამდენი ცნობილი მწვრთნელი გვაყავს ქართველთა? „ცნობილი“ ნაცნობთა ფართო წრეს რომ ვხედავთ, ცნობილი მწვრთნელად იმით მივიჩნევთ, ვისაც შედეგები იცნობს ხალხი. პოდა, მამ დათვიკალით: ანდრო ფორდანი, ახლაკია... ვამოგვეყავა სათვალავი, რადგან საბჭოთა პერიოდში მხოლოდ ამ ორმა კაცმა დაგვაძახსოვრა თავი. თუ ანდრო ფორდანიას სელექციონერის უზადლო გამოარჩევდა, ნოდარ ახლაკიაც, „თავისუფალი მხატვართა“ ანსამბლი ერთიან კოლექტივად ჩამოაყალიბა და ქართული ფეხბურთი მანამდე არჩანული სიმდიდრეს შეაწვდიდა. სხვა მიღწევებს, „დინამომ“ ძირითადად რუსთა თავაკობისას მიადრეკდა. პროფესიონალ მწვრთნელთა სიმცირეს საბჭოურ ეპოქაში ისიც განაპირობებდა, რომ მაშინ მთელი საქართველო ერთი გუნდის ირგვლივ ტრიალებდა და ამ ერთ გუნდს კი, ერთი მწვრთნელი ედავა სათავეში.
ერთი ცნობილი ჩემპიონატის ათწლიანი ისტორიის მანძილზე საქართველოს საფეხბურთო პირველობის უმაღლეს ჯგუფში დაახლოებით ოცდაათამდე გუნდმა იასპარეზა. ამათგან ერთი უცვლელი ჩემპიონია, ზოგიც სტაჟიანი პირიქითი თუ სათასო კლუბი. ისეთებიც არიან, მთვრე ჯგუფის სიმწარეზე რომ უფრო მათ, მაგრამ კვლავ დაუბრუნდნენ ელტასს, ზოგი გუნდი კი სულაც დაიშალა. ამანამდე ჩვენი ინტერესის სფეროს ამ წარმოადგენს, რომელი გუნდი რას, სად და როგორ აკეთებდა. ამ წერილის მიზანი ამჟამინდელ ქართულ ფეხბურთში მოღვაწე მწვრთნელების კვალი-ფაჯისა და როლის წარმოჩენაა. გვიანტერესებს, ამ ათი წლის მანძილზე შემოდიოთ თუ არა რომელიმე მათგანმა, გარეუღიყო ელიტარულ მარაქში, ზემოთ ნახსენებ ორ კაცს რომ ითვისოს, და წარმოიარინა თუ არა ისინი, „საქმესან თვისმან“.
მწვრთნელის სიძლიერის საზომი შედეგია. თუ ქართული გუნდების მიერ საერთაშორისო არენაზე მოპოვებულ წარმატებებს მივიხედვით, აღმოჩნდება, რომ არსებობს ქართული ფეხბურთი, მაგრამ არ არსებობს შედეგი და შეხამისად არ არსებობს კვალიფიციური მწვრთნელიც. ქველ შემთხვევაში, ამ ათი წლის მანძილზე ქართულ გუნდებს არაფერი უკეთებიათ სირცხვილის გმამის გარდა (ანგარიშებს ადარ ჩამოვთვლი — ჩამოხწრობილის ოჯახში თოქე არ საუბრობენ). ნიჭიერი ფეხბურთელები კი, იმავე მწვრთნელების სიტყვით, არ გვაკლია. როცა ნიჭიერი ფეხბურთელები კარგ ფეხბურთის ვერ თამაშობს, ძაღლის თავი მწვრთნელის სისუსტეშია დამარხული.
ჩვენგან ვფეხბურთში აქამდე და ახლა მოღვაწე მწვრთნელთა სია იმდენად შთაბეჭდავი და ავტორიტეტული პერსონაჟების შედეგაა, მათ კვალფიციურად ეჭვის შეტანა ობიექტრობაში ნამდვილად არ ჩავგვევთვლი. ამიტომ შევეცადებთ, საკითხს უფრო სიღრმისეულად შევხებით.
თუკი ქართულ ფეხბურთში მოღვაწე რომელიმე პიროვნებას რაიმე გამართლებას, ეს პირველ რიგში პირველყოფილი პიროვნებაა. ასეთი საშუალებებით მნელია რაიმე ფასეულის შექმნა. ელემენტარული საფეხბურთო კანონის თანხმად, თუ ფეხბურთში ინვესტიციაა რა ჩადე, ფეხბურთელს პირობები არ შეუქმნი — ამოსაგებს ვერ მიიღებ. მაგრამ აქ საქმეში ერევა მთვრე — უკვე ცხოვრებისეული, ალბათობის კანონიც — ერთხელ თოფი თავისითაც უნდა გაეარდეს და ერთხელ ჩვენმა რომელიმე გუნდმა (ვინ თუ არა „დინამომ“) უნდა გააკეთოს რაღაც ვეროპული არენაზე. ეს კი დღემდე არ მოხდა. ათი წელი საქმარისი დროა იმისთვის, რათა ამბიციების და ტრადიციების მქონე ქვეყანამ მოწინააღმდეგეს კლანჭები აჩვენოს. მით უმეტეს, ათი წელი — ერთი საფეხბურთო თაობა. მამსადამა, ერთი საფეხბურთო თაობა ქართულ ფეხბურთში უსახელოდ მიიკვალა. და როცა ნიჭიერი თაობა დაკარგულ თაობად იქცევა, ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს ეძებენ და დამნაშავე სხვებთან ერთად მწვრთნელიცაა. რა დასამალა, ქართული მწვრთნელები მოძველებული მეთოდიკით მუშაობენ. არც ისეა საქმე, რომ პროტუკალიის თუ სხვა საშუალო ქვეყნების უფრო საშუალო გუნდებთან დარდინადელი ანგარიშებით ვართ. სამოთხე გუნდს საქართველოში შედგენილი ვეროპული გუნდებისთვის დი-



ქართველოლოგი-ი (ქართველოლოგისა) იგივეა, რაც ქართველოლოგი. **ქართველოლოგია** (ქართველოლოგიისა) იგივეა, რაც ქართველოლოგია. **ქართველოლოგიური**-ი (ქართველოლოგიურისა) ქართველოლოგიასთან დაკავშირებული, სტრუქტურა... უფლება... ქართველოლოგიურ დისციპლინას (ახსახლო განათლა). **ქართველოლოგი**-ი (ქართველოლოგისა) ქართველის დამახასიათებელი. [სვიმონი] მამულის შვილი იყო, ქართველი და ქართველოლოგი გრძნობა ჰქონდა... მგრამ უსასულოდ სიკვდილი-ვი არ ესმოდა (ა. ყაზბ.). ასეა, როგორც ქართველია ქართველი, ასეა ქართველოლოგი ქართველოლოგიისათვის" (ი. გოგება). **ქართველოლოგი** 1885. როგორც ქართველს შეეფერება. [სკანდინავიის] თვალს შიგნით, გამოიღვივოს. შიგნით განიჭილებს, ერთს ქართველოლოგიად კიდევ შესახებ არაფერი. მაგ შინს ამწვანებულს შიგნით (ს. ზარია). სტუმარი თავდაღუნებით შიგნით [ლასახლოს] შიგნით და...

ქართლოსიანთა პენი მკებთან შეკრულან ფი... (ა. აბაშა). **ქართლოლოგი**-ი (ქართლოლოგისა) ქართლოსიან ქართლოლოგისათვის დამახასიათებელი ქართლოლოგიდან მომდინარე, — ქართლოსი. ქართლოლოგი კილო. **ქართული**-ი (ქართულისა) 1. საქართველოს ქართველების კუთვნილი, დამახასიათებელი ქართული ენა. — ქართული ახსანი. — ფერები ში... თითქმის ყველა სოფელს წმინდა ქართული ხელი ჰქვია (ი. გოგება). ნანა გვზრდიდა, ჩვენ ქართული ნანა გვზრდიდა, აღგვევა მტერი რისხვით რავი (ან. კალანდა). 2. ქართული ენა. აკაკი ქართული არა ერთხელ... უმოქმედებია... თავისი ქართული სიტყვა, თავისი სიტყურით სავე ქართული (ილია). ეტყობოდა, სტუმრების უმრავლესობას ქართული (პ. ლომთ.). 3. ქართული სიტყვა. უინს ამისთანა ქართული მოგახსენო" (თ. რ... ლი, არა ქმნას სიტყვა ქართულია? რა სიტყვი ქართულია კარ... ამია. || სწორი ქართულია. 4. ქართველოლოგი უმველესა ხალ... გნა). ქართულიად ავიკითხე, ქართულიად მამ მშვენიერი ლექსი... ლად" (მ. დადი... ბადრიჯანი, რომ არის, ისე... შობის წინაღუ... კალაზე... სა... თუ უქარი დღე... || სადაც ქარი... ი იფარება ტყე... დატ. იმ. თავ... ქარიანი, ავის ქვე... იობ. თარგმ.). **ქარიანი** ენა გადატ... დაუფიქრებლის მთქმელი (ენა). „ნუ იტყვი... ვაჟაკის აუგს ენითა ქარიანითა“ (ვაჟა). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავ ქარიანი.

ქართული — საქმიან ადამიანთა ვეროთიანება XXI-ს 90-ანი წლების საქართველოში. ეფუძნება რა წილობს, თანამშრომლობას და საიმედოობას პრინციპებს, იგი ქვეა მრავალმხრივ სამხარულო საქმიანობას და ქვეყნის სხვადასხვა ქალაქს მოიყვას. (დამატებითი ცნობებისათვის იხ. www.cartu.com).

ქარიანობა (ქარიანობისა) 1. ხშირად ქარის ქროლა, მუდმივი ქარი. 2. იგივეა, რაც თავ ქარიანობა. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავქარიანობა. **ქარიბერტყია** (ქარიბერტყიასი) საუბ. იგივეა, რაც ქარაფშუტა. გუფადა ტარიელ, თუ ავ... თანლილად ქარიბერტყია გუსარი ხმალით? (გ. ლეონი). **ქარიზი**-ი (ქარიზისა) [თურქ. ქარიზ „მიწის ქვეშა არხი“] ძვ. იმ. დ რ უ დ რ. **ქარიფანტია** (ქარიფანტიასი) საუბ. იგივეა, რაც ქარაფშუტა. **ქარიყლაპია**...

ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია. არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველებიან, რომლებსაც მხოლოდ იფიქრებენ სოღმე, როგორც რაღაც უშიშვნელის, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საქართო ხდება მათი ზედახალი აღმოჩენა. საქართო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალჯერ გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლეოს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, თუახსნა და სამსახურში, ბირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში. **წილობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...** სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმნიშვნელოვანი, რომელსაც მთორაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. წილისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ ვაჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება. ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიდებთ და განიფიქრებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან. ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვარწმუნებთ, მაშინ ჩვენ შეგვლება, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევამატოთ.



ქვემოთაღ დიდი ახვევია

საქართველოს ჩემპიონატი

დინამო 14:10 აიპ

დინამო: ლ. გომიაშვილი მს. აბ- დუშელიშვილი
აიპ: ლ. ზინზინაძე გ.ს. შვანიტიანი

ჩემპიონატის დაწყების დღიდან რვაგუნდა პირველობაში მკვეთრად გამოიყვანა ლიდერთა რეიტინგი. აი, მეექვსე ადგილისთვის კი, რომელიც მეორე ეტაპზე თამაშის უფლებას იძლევა, სამი გუნდი აცხადებს პრეტენზიას — თსუ, „დინამო“ და „აიპ“. მათგან ყველაზე უკეთესი მანძილს მტრებს ატოვებს, რომელთაც წლეულს ერთადერთხელ სწორედ „დინამოს“ მოუგეს, თუმცა არც დინამოელები და ქუთაისელები არიან ჩამოსაწერი, მით უმეტეს, თუ ამ უკანასკნელთა რუსეთში გადაბარებული ყოფილი თანაგუნდელები დაუბრუნდებიან. აუტსაიდერთა გუმიწინდელი შეხვედრაც მეტად პრინციპული იყო, რადგან პირველობის დაწყებიდან დღემდე ორივე გუნდმა საგრძობად მოუმატა თამაშს და ექვსელობის მოსახვედრად იბრძვის. არადა, მათი პირველი წრის შეხვედრა რომ გამართულიყო, მდგომარეობა უფრო ნათელი იქნებოდა, ამ შემთხვევაში კი მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა.

ახლა თავად მატჩის შესახებ. საწყისი ათი წუთი სტუმრებისა იყო. ქუთაისელები „დინამოს“ ნახევარზე დაპყრობდნენ, მაგრამ ეს უპირატესობა ანგარიშში არ გამოიხატა. მასპინძლები მეტოქის ნახევარზე პირველად მე-10 წუთზე გადავიდნენ და პირველივე ცდაზე მიაღწიეს შედეგს — აბდუშელიშვილმა ზუსტად შეასრულა საჯარიმო. ამის მერე ინიციატივა მასპინძლებმა იგდეს ხელთ, რასაც სტუმრთა შედეგობრივად შეუწყო ხელი. მე-19 წუთზე „აიპს“ ლელოსან კიდევ ერთი ჯარიმა დაინიშნა — „დინამომ“ იგი კარგად გაა-

თამაშა და გომიაშვილის ლელოთი კიდევ უფრო დაწინაურდა. სტუმრებმა ტაიმის ბოლოსა და ნახევარის ანგარიშის შემცირება შეანერგეს მთელი ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი. „აიპს“ ეს უფრო ადრე შეეძლო, მაგრამ საჯარიმოები გაათამაშა და ამიტომაც დაზარალდა.

მეორე ტაიმში, პირველივე განსხვავებით, „დინამომ“ უკეთ თამაშადა, მაგრამ სტუმრებმა მალევე მოახერხეს მდგომარეობის გამოსწორება. ეს უპირველესად ხომალის და ზინზინაძის დასახურება იყო. ქუთაისელთა ერთადერთი ლელოც ამ უკანასკნელის ანგარიშზეა. ეს უკვე ტაიმის ბოლოს მოხდა, მანამდე კი აბდუშელიშვილმა ორი საჯარიმოთი II ქულელი დაწინაურა თანაგუნდელები. სტუმრებს ბოლო ხუთ წუთში კიდევ მიეცათ მატჩის გადარჩენის შესაძლებლობა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ამ შანსს ვერ გამოიყენებდნენ, რადგან ფიზიკურად სათანადოდ მომზადებულნი არ არიან.

ამ გამარჯვებით „დინამომ“ ექვსელობის მთავლობადა. ქუთაისელებმა კი საამისოდ, თუ ეს კიდევ სურთ, უეჭვლად უნდა მოუვონ უნივერსიტეტს ხელა.

ორი დღის წინ კი ბათუმში კიდევ ერთი პრინციპული მატჩი გაიმართა „დათვებსა“ და ასკ-ს შორის, რომლებიც „დინამოს“ და „აიპსთან“ განსხვავებით, მეოთხე ადგილისთვის იბრძვიან. შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით 2:2:3 დასრულდა.

გამარჯვებული იგი კარგად გაა-

ფრანგული დიდად უმსარბი

21 ივლისს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები საფრანგეთს მიემგზავრება ტურნის გასამართად. ჩვენს ბიჭებს იქაურმა რაგბის კავშირმა მიიწვია და ოთხ შეხვედრას გამართავენ უმაღლესი ლიგის გუნდებთან. საქართველოს ნაკრებს ასეთი ტურნე, რაღა თქმა უნდა, დიდ სარგებელს მოუტანს მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის წინ.

ბაბაბა ბიჭები

რა პარბია, რომ შეხვებით

მას შემდეგ, რაც ევროთასების წილი-სყრამ რუსთავის „აზოსს“ კორანის თასზე უკრანული „მასტიორი“ არგუნა ჩვენი ინტერესი ამ გუნდის მიმართ ბუნებრივად აღონეცია. „მასტიორი“ ევროპულ გრანდებს არასდროს განეკუთვნებოდა, მაგრამ უკრანული კალათბურთი სულაც არ განლაჟო ხელწამოსაკრავი, რაშიც სტაიანი ვულშმატიკერებიც დავეყთანხებნან. განა რა დიდი ხანია ისტორიას ჩანარდა ის დრო, როცა ჩვენი „დინამო“ და კიევილი „სტრიტერის“ შემდეგ კი „ბუდილონიკი“ საკაცში პირველობებზე ერთმანეთს არ იბრძოდნენ. მათი შეხვედრებიც ყოველთვის განსაკუთრებულია საინტერესო იყო, ახლა კი ეს ორი ქვეყანა მეორედ უნიონსპირდება ერთმანეთს ევროპულ საკლუბო დონეზე გუნდობით, ოთხი წლის წინ სწორედ უკრანულმა „ბიპა მოლამ“ გადაუღობა ზნა თბილისის „მურანს“. ეს ისე, ცნობისთვის, ახლა კი მთელი მყარადდება „მასტიორი-საკე“ გვაქვს მიგვაპობილი, ამიტომ არ დავაყენებ და კლუბის გენერალურ დირექტორ ვასილი ვალენკოს ტელეფონი ავეუწყრალივით.

— თბილისიდან გაქვებით. ქართველებთან დაქვებით რომ გრგორ ხსიათზე დაგაყენებთ?

— კმაყოფილები ვართ. საშუალება მოგვეცა, კიდევ ერთხელ ვესტუმრათ თბილისის მართლად ძალიან გაგვიზარდა. ევარის, თქვენს ახლანდელ კალაბურს არ

ვიცნობთ. შესაბამისად, „აზოზზეც“ არაფერი ვგებნია. „დინამო“, იცოცხლებო, კარგად გვახსოვს, მაგრამ...

— რა გუნდისა „მასტიორი“?

— წლეულს უკრანის პირველობაზე მეოთხე ადგილზე გავვით. საშუალო დონისანი ვართ. ახლა გარდამავალი პერიოდში ვვაქვს, ვეტყვანები წასვლას აპირებენ და ჩვენც კლუბის გაახალგაზრდადება გადავწყვიტეთ. ნელ-ნელა დავკომპლექტებთ და ვფიქრობ, კორანისთვის კარგ გუნდს შევკრავთ. „მასტიორის“ ერთი წევრი, ვალერი სკაჩი უკრანის ნაკრებში თამაშობს და, ბუნებრივად, მასზე დიდ იმედს ვამყარებთ. არც სხვები არიან სუსტნი და ჩემი აზრით, კარგი თამაშებშიც უნდა გამოგვივიდეს. სექტემბერშიც მალე მოვა და ყველაფერი მამნი გამოჩნდება.

— რუსთაველებს ხომ არ შეზამიანგებინათ?

— გუნდის დირექტორს ველაპარაკეს. საუბარი ძირითადად გეზავრება-დაბინავების საკითხს ეხებოდა. ერთმანეთს კიდევ დავუკავშირდებით და ყველაფერს გადავწყვიტებთ. ბოლოს კი მსაჯებზეც მოგახსენებთ, რომლებიც 16 სექტემბერს რუსთავის „აზოზს“ და დონეცის „მასტიორის“ თბილისურ მატჩს განსჯიან — ესენი მინსკელი დიმიტრიევი და ივანოვოვლი გორშკოვი არიან, კომისრება კი ჩვენებურ მურომან ქუროვს დაეკისრა.

ბიბიბი ბიბიბი

უპარჯიუხებლად ევროპაში

9-12 ივლისს ალბანეთის დედაქალაქი ტირანა უმასპინძლებს ოთხიერთა ევროპის პირველობას ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. იქ თანატოლებთან ერთად იასპარეზებენ ქართველი ჭბაუბეებიც: მანუარ ფერაძე (49 კგ, თბილისი), ირაკლი ჭოჭუა (52, თბილისი), მიხეილ ზავრაშვილი (56, რუსთავი), ლევან ოდიშარაია (60, თბილისი), ალექსანდრე დონატოვი (65, გარდაბანი), ბადრი ხასაია (70, თბილისი), ველა ჩხაიძე (76, ბათუმი), ზვიად ქარაძე (83, თბილისი), შოი გოგლინიძე (90, ქუთაისი), გიორგი წურუჭია (115, თბილისი). გუნდი (მწვრთნელი ვლადიმერ ადგიშვილი) ტირანაში ყოველგვარი მოსამზადებელი ეტაპის გაუფლად გაემგზავრა. არანაირი ტურნირი, არანაირი შეკრება ეხოლნენ მნიშვნელოვანი შედეგის წინ. მიზეზი, მიხვდებოდით, მეტად პროზაულია და ჩვენი თვის ასე ნაცნობია — უფულობა.

ირაკლი თამაძე

მსოფლიოს ასალგაზრდულ თამაშებზე საქართველოდან ოთხი ჩოგბურთელი იასპარეზებს: ირაკლი ლაბაძე, ირაკლი უმანგიშვილი, მაკა ჩახანაშვილი, თამარ ზედეგინიძე. ჩახანაშვილი ამ დღეებში ჩამოფრინდა ბარნიდან, სადაც ამჟამად ცხოვრობს და ერთ-ერთი საჩოგბურთო კლუბში ვარჯიშობს. მეორე დღეს ივარჯიშა კიდევ ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე, ვარჯიშის მერე კი ინტერვიუსზე დაგვათანხმდა.

სსოპრება და პარჯიში პარჯიში

— მაკა, თბილისში ბოლოს ორი თვის წინ ჩამოხვედი, მერე ანთბილისში, ფედერაციის თასზე საქართველოს ნაკრებში წარმატებით ითამაშეთ და კვლავ საფრანგეთს გაემგზავრეთ. დროის ამ მომენტებში სიბილი მონაწილეობა?

— ფრანგულ ქალაქ ბოლში ITF-ის I კატეგორიის ტურნირის პირად პირველობაში ორი წრე წარმატებით ვანველე მესამე კი დაემარჯვებე ესპანელ მარტინესთან, რომელსაც საბოლოოდ ეს ტურნირი მოეყო კიდევ მერე იყო საჩოგბურთო კლუბის TCP-ის ტურნირი, აქ ოთხეულში მოხვედი, საფრანგეთის ოქროსოვან მესამე წრეას კარნ კტრბოვს მოუგე და ჩემი თამაში აღფრთოვანებულმა კლუბის პრეზიდენტმა 10 ათასი ფრანკითც დამაგლდოვა საზღვარგარეთ ტურნირებზე წასვლად. თბილისში ჩამოსვლის წინ კი ვერსალოთან ახლოს, „რასინგ კლუბის“ კორტებზე წ წლამდელთა დია ტურნირში ვაიმარჯვე ვერ კარგად მოეგე მერე წყვილ-წყვილად ესპანელს და ფრანგებს საფრანგეთის ოქროსოვანი საათი მარჯებს სხვა ფასიან სარეჟიზანტს ერთად.

— იგნისოვი პარჯიში საფრანგეთის დია ჩემპიონატში მონაწილეობდით...?

— როგორ გაროსის ოქროსოვანი შედეგობაში ბოლო მომეტში დამიშვეს, ეტყობა, გვიან განიხილეს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თანხმობის საბუთი. საკვლი-ფიციკო მატჩში ამერიკელ უელსონს 6:2 3:3 3:3 წაგვად რაც შეეხება საერთოდ ტურნირის ცხადია, უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული, საშუალება მქონდა მენახა თითქმის ყველა საჩოგბურთო ვარსკვლავის თამაში, 3 ინტერვიუს და ნოვოტანასთან ერთ ვასახლელ თათბირზე მოხვედი. ჩემი აზრით, მამაკცებში კარლოს მონა ნამდვილად ღირსი იყო ჩემი-ინობის, რაც შეეხება ქალებს, აქ როგორც ყოველთვის, მარტინა პინგის ვეიომბოლი, რომელიც მოგვხსენებთ, ნახევარფინალი, სეულში დაამარცხა, ამას კი საჩქეს-ვიკარიომ მოუგე ფინალი. ვფიქრობ, ჩემპიონობას სეულში და პინგის უფრო იმსაუბრებდნენ.

— ცხადია, თვალს ადევნებდით ახლახან დამთავრებულ უიმბლდონის ტურნირს...?

— უიმბლდონი მართლაც ევროპული ტურნირების მშვენიერებაა. ტელევიზიით თითქმის ყველა მატჩი ვნახე. მუსუნდავად იმისა, რომ

— სურვილი ნამდვილად მქონდა, მაგრამ ჩამოსვლის აღბათ ვერ შეძეობდა. ზუსტად ამ დროს საფრანგეთში ტარდება მ საუკეთესო საკლუბო გუნდის ტურნირი. ჩვენი კლუბის ქალთა ნაკრებში მე-4 ნომრად ვარ დასახელებული კეტრინის, ტესტიუს და ბერგერის შემდეგ, ჩემან აღბათ უნერული იქნება, რომ არ ვასპარეზო.

— მოსკოვში, ასალგაზრდულ თამაშებზე რომელი ადგილის უმინებთ?

— ვერ ვეტყვი, იქ ამ ასაკის უძლიერესი ჩოგბურთელები ჩამოვლენ ყველა ქვეყნიდან. ვეცდები, რაც შეიძლება უკეთ ვითამაშო.

— უახლოესი სამომავლო გეგმები...?

— მოსკოვიდან პირდაპირ ინგლისში გა-



მაკა ჩახანაშვილი

ფრანგია, მანც მიმანია, რომ ტობია ფინალში ვასვლას არ იმასპარეზებდა, ნოვოტანა და სამარსად ღირსეულად გაიმარჯვეს რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას ოქროსოვანი ტურნირში, სამისოდ რეიტინგი არ მქონდა საკვალიფიკაციო ტურნირზე თამაშის უფლება შეიძლება ბოლა მომეთხოვა, მაგრამ არ მიცდა.

— თქვენი რეიტინგის საქმე როგორაა, მგონი, რაღაც სირთულეები გქონდათ...?

— საფრანგეთში ნათამაშევი ტურნირები ჩემი „ფრანგული“ რეიტინგი იზრდება, მსოფლიო რეიტინგის ტურნირებზე თამაშს კი აღბათ სექტემბრიდან დავიწყებ.

— კონტრაქტით კმაყოფილი თუ ხართ?

— პარისის ცენტრში ვცხოვრობ და ლაფონტინის კოლეჯში ვსწავლობ. დიდი კოლეჯში მიდივარ, შემდეგ საათხანეკარი საათი ჩოგბურთში ვვარჯიშობ, მერე კიდევ ერთ საათს ფიზიკურ მომზადებას ვეთმობ. ასეა ყოველდღე, მხოლოდ კვირას კი სვენებს ჩემი კონტრაქტი კი, ციფრი, 15-წლიანა ვცხოვრობს ყოველი ავტომობილის ერთე ბილონის ოჯახში, რომელიც ამჟამად წამყვანი საავტომობილო ფირმების დიხაინერ-კონსტრუქტორია ჩემი მწვეგრავი ცნობილი სპორტული კომპლექსორი მიმულ დრე ფეხ-ბურთის, ჩოგბურთის და კრივის დიდი საეციალისტი.

— შარშან შემოდგომაზე არცთუ ურთივლო ითამაშეთ ლეილა მესხის ავტობილის კორტებზე გამართულ ქართულ ტურნირზე. წელს თუ აბირებთ ჩამოსვლას?

— სურვილი ნამდვილად მქონდა, მაგრამ ჩამოსვლის აღბათ ვერ შეძეობდა. ზუსტად ამ დროს საფრანგეთში ტარდება მ საუკეთესო საკლუბო გუნდის ტურნირი. ჩვენი კლუბის ქალთა ნაკრებში მე-4 ნომრად ვარ დასახელებული კეტრინის, ტესტიუს და ბერგერის შემდეგ, ჩემან აღბათ უნერული იქნება, რომ არ ვასპარეზო.

— თქვენი იდეალი ჩოგბურთში? — მოქმედი ჩოგბურთელებიდან პინგის და სამარსად, ყოველთაგან კი მტყუი გრაფი და ბორის ბეკერი.

— ლაბაძე და კურნიკოვა ერთად ითამაშებდნენ დისტს ქვეყნების ტურნირებში. თქვენც იცნობთ რუსების ამომავალ ვარსკვლავს? — ჯერჯერობით არ ვიცი.

— საფრანგეთი დღეს ფეხბურთით ცხოვრობს. როგორ გამოიყურება დღეს პარისი? ვის ქობავთ? რომელი ითამაშებთ ხომ არ ყოფილხართ?

— გული მწყდება, რომ ფინალური მატჩის დღეს პარისში არ ვიქნები. აქამდე არ ვეტრინას ექროვობოდი. რაც არეგენტან გავარდა, მს მერე ბრაზილიის მარაჩუ ვარ. წამოსვლამდე სამ თამაშზე წამყვანა ჩემს მწვეგრავს მიმულ დრემ. ენახე ჰოლანდია-არგენტინის, საფრანგეთ-პარაგუაის და ბრაზილია-დანის მატჩები. საოცრად დამბალი იყო არგენტინა-ინგლისის შეხვედრა. ფეხბურთელებიდან კი რონალდოს და ბატისტუტას თამაში მომწონს.

— ფრანგებს დიდი იმედი აქვთ, რომ მათი ნაკრები ჩემპიონი გახდება, მე კი გონია, რომ ეს საჩემპიონო გუნდი არ არის. რაც შეეხება პარისს, უამრავი ხალხია ჩამოსული, ყველა სპორტულად გამოყობილი დაიარება. გაუთავებლად იმის მანქანების საფერის ხმა და შეხახლები „გაუმარჯოს საფრანგეთს“

— თვალს ადევნებდით უიმბლდონის ტურნირს? — თვალს ადევნებდით უიმბლდონის ტურნირს.

— კერძოულიც, მანარაძე, ბალათურია, კალანდაძე, ოსიპოვი, ჩეჩელაშვილი, კიკაულიშვილი, ზახა და ხატო მიქელაძეები.

— როგორ მოგწონათ ვეტერანთა შეჯიბრება, კიდევ აპირებთ გამოსვლას?

— დასაწინ რა აქვს? ვეტერანთა ტურნირები სულ უფრო პოპულარული ხდება. თქვენი მსგავსი კითხვა ერთმა სანკტ პეტერბურგელმა 80 წლის პროფესორმა დამისვა, შენ 30 წელი მისდევდი აქტიურ სპორტს, სხვეი 80 წლამდე ვარჯიშობენ. პოლა, რ სჯობია, რაღაც ვარჯეული პერიოდში ვარჯიშო თუ მთელი ცხოვრების ცხადია, ამ კითხვაში პასუხები იგულისხმებოდა. პოლა, ჩვენც გადავწყვიტეთ ჩამოვაყალიბოთ ვეტერანთა კლუბი, ვივარჯიშოთ და შევიბრებებშიც გამოვიდეთ. ვისაც საშუალება ექნება, საკუთარი ხარჯით ივლის ტურნირებზე, ვისაც არა, მათთვის ბანკი ანგარიშს ვაქხსნი.

ამთანადილ ხავიფალი




გოლეტი

- 5 — კრისტიან ვიერი (იტალია), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა), დავორ შუკერი (ხორვატია)
- 4 — მარსელო სალასი (ჩილე), ლუის ერნანდესი (მექსიკა), რონალდო (ბრაზილია)
- 3 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), ბებეტო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია), დენის ბერესკამპი (ჰოლანდია)
- 2 — ტიერი ანრი (საფრანგეთი), მარკ ვილმოტისი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა), რობერტო ბაჯო (იტალია), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), სალაჰედინ ბასირი (მაროკო), შონ ბარტლემეტი (ს. აფრიკა), ფერნანდო იეო (ესპანეთი), ფრანსისკო მორინეტისი (ესპანეთი), კიკო (ესპანეთი), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), თეოდორ უიტმორი (იამაიკა), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ალან შირერი (ინგლისი), ბრიან ლაუდრუპი (დანია), პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია), ლილიან ტურამი (საფრანგეთი)
- 1 — ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტიან დიუგარი (საფრანგეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადემოფუ (ნიგერია), სანდი ოლისი (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაუსი (მექსიკა), სინიზა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანინი (ხორვატია), რობერტ პროსინჩეკი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), პოლ სკოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), ჰაეარდ ფლო (ნორვეგია), კრეიგ ბარლი (შოტლანდია), ივიცა ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზვეგი (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), ვიკტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მამადევიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ), ლიდერ პრესიადო (კოლუმბია), დან პეტრესკუ (რუმინეთი), ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია), პატრიკ მბომა (კამერუნი), ხოსე სიერა (ჩილე), ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია), კეტელ რეკდალი (ნორვეგია), იური ჯორკაფეი (საფრანგეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი), სამი ალ ჯაბერი (საუდეთი), იუსუფ ალ ტინიანი (საუდეთი), ლუის ერნიკე (ესპანეთი), ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი), სელსო აილა (პარაგვაი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ხოსე კარდოსო (პარაგვაი), ვილსონ ორუმბა (ნიგერია), რიკარდო პელაუსი (მექსიკა), ლუკ ნილსი (ბელგია), იუ სენგ ჩუი (კორეა), ექტორ პინედა (არგენტინა), მასამი ნაკაიამა (იაპონია), სკანდერ სუია (ტუნისი), დარენ ანდერტონი (ინგლისი), დევიდ ბექემი (ინგლისი), ლორან ბლანი (საფრანგეთი), პეტერ მიოლერი (დანია), ებე სანდი (დანია), ტომას ჰელვეგი (დანია), ტიჯანი ბაბანგიდა (ნიგერია), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია), ხაიერ ძანეტე (არგენტინა), მარტინ იორგენსენი (დანია), კლაუდიო ლოპესი (არგენტინა), რობერტ იარნი (ხორვატია), გორან ვლაოვიჩი (ხორვატია)



მედიდ მაშალი!
ნუსეუატიინალში სტრუაფთა ბლუის მუტუ თბანგუმი დიდ გულგუ აბან



ნაკრუმის მაისუტი მთული სატბანგუთისტუის

- ავტორგოლეტი**
- 2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)
 - 1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიზო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), სინიზა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია)

წითელი ბარათები	
ჰოლანდია	— ნუმანი
საფრანგეთი	— ბლანი
ყვითელი ბარათები	
ხორვატია	— სიმინი — 2, სოლოდო, ბობანი, ბილიჩი, შუკერი, ასანოვიჩი, სტანინი
ბრაზილია	— სეზარ სამპაიო — 2, ლეონარდო, რობერტო კარლოსი, ალ-დაირი, ზე კარლოსი
საფრანგეთი	— გივარში, დემამპი
ჰოლანდია	— სტამი, რაციგერი, დავიდსი, ჰოიდონკი, ზეედორფი

სირთა გალობა. უკვე მესამედ

მართალია, ესპანეთისა და იტალიის ნაკრებებმა უკვე კარგა ხანია, დატოვეს მსოფლიოს ჩემპიონატი, მაგრამ ამ ფაქტს სამი უდიდესი ტენორისთვის ხელი არ შეუშლია, საფრანგეთში მიმდინარე ტურნირის ფინალურ მატჩამდე ორი დღით ადრე უკვე ტადიციად ქცეული კონცერტი დაენიშნათ. მიხედვით, ალბათ, საუბარი მსოფლიოში საქვეყნოდ ცნობილ იტალიელ ლუჩანო პავაროტიზე და ესპანელ პლანტეა პირველი ერთობლივი გამოსვლა 1990 წელს იტალიაში მოაწყოებს, შემდეგ არც 1994 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორებს დაწვევებს გული და გულშემატკვირებს აშშ-ში სიმღერითაც მიანიჭეს საიმოვნება. როგორც ჩანს, ეს ტრიო ერთხელ დაშვიდრებული ტრადიციის გაუქმებას არ აპირებს, რასაც 10 ივლისს კიდევ ერთხელ დაამტკიცებენ.

კონცერტი საფრანგეთის დედაქალაქში ცნობილი ეიფელის კოშკის მახლობლად საგანგებოდ მოწყობილ ხეივანში გაიმართება. ბილეთები მხოლოდ სცენასთან ახლოს მდებარე 12 ათას საგარეულზე გაიყიდება, დანარჩენი მსურველები კი ჩემპიონატის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით შოუზე უფასოდ დაიშვებიან.

მომღერლების რეპერტუარი განახლებულია და იგი პოპულარულ სიმღერებთან ერთად მრავალ სიურპრიზს ჰპირდება მაყურებელს. საგულისხმოა, რომ ტენორები სიმღერებს ექვს ენაზე შეასრულებენ. ასე რომ, პარასკევს ინგლისური, ფრანგული, იტალიური, გერმანული, ესპანური და პორტუგალიური ენების მცოდნეთ სხვებთან შედარებით პრივილეგია ექნებათ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ ღვთაებრივი ხმების პატრონთა მოსმენას ენის ცოდნა სულაც არ სჭირდება და რაიმე უპირატესობაზე საუბარი, ალბათ, უადგილოც კია.

ზვიმს არაპინ გამოაკლება

იმ გუნდს, რომელიც წლეულს საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონობას მოიპოვეს, წინა პირველობებსგან განსხვავებით საგანგებოდ დააჯილდოვეს. ადრე თუ მხოლოდ გამარჯვებული ნაკრების ფეხბურთელები იღებდნენ ოქროს მედლებსა და მილიონობით გულშემატკვირის ოჯახებს, 12 ივლისს ტრიუმფატორთა მთელი არმია წარდგება „სტად დე ფრანსზე“. ფიფას დიდმოხელეთა განცხადებით, დროა, იმ ხალხსაც დაუფასდეს გარჯა, რომლებიც მუხლჩაუსრულად იღწვიან და ეველაფერს აკეთებენ, რათა მათმა გუნდმა წარმატებას მიაღწიოს.

— ფინალური მატჩის შემდეგ ფეხბურთელების გარდა ის ადამიანებიც დაჯილდოვებიან, ვინც გუნდს საფრანგეთში ჩასვლის პირველი დღიდან თან ახლდა და თავს ეველებოდა. საუბარია ნაკრებთა მხარეულებზე, მრეცხველებზე და სხვა მომსახურე პრესონალზე. ნაკრების წარმატებაში ხომ ამათი დიდი წვლილიცაა და ამის დაუნახაობა უმადურობა იქნება. ამიტომ, ჩვენი გადაწყვეტილებით, ოქროს მედლებს გამარჯვებული მოთამაშეების გარდა მთელი გუნდი მიიღებს — განაცხადა ფიფას ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა.

სტად დე ფრანსი ცაში

როგორც უნდა დასრულდეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა, ფრანგ ორგანიზატორებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ, წლეუანდელი პირველობის დახურვის ცერემონიალი წინამორბედების მსგავსად გრანდიოზულად წარმართოს. ფიფას ხელმძღვანელთა სიტყვებს თუ ვინაობით, ფინალური მატჩის შემდეგ საოცრად ლამაზი სანახაობა გადაეშლება „სტად დე ფრანსზე“ მყოფ გულშემატკვირებს. როგორც ცნობილია, გამარჯვებული ნაკრების კაპიტანი სანუგვარ თასს საფრანგეთის პრეზიდენტის ფაჟ შირაკის ხელიდან მიიღებს. ამ მომენტიდან მოყოლებული დაიწყება ორგანიზატორთა ჩანაფიქრის განხორციელება. სტადიონზე თავმოყრილ ქომაგებს მოგებულთა საპატივსაცემოდ მოწყობილი ფიერვერვი მოსჭრით თვალს, ხოლო სარბიელზე შესული მოცეკვავეები კიდევ უფრო მეტ ხიბლს შემატებენ დღესასწაულს.

— ჩვენი ჩანაფიქრით, ჩემპიონატის დასკვნითი დღე საუცხოო უნდა იყოს, ეს ხომ ისედაც არაჩვეულებრივი მოვლენაა. გვსურს, მაყურებლებს ისეთი შთაბეჭდილება შევუქმნათ, თითქოს „სტად დე ფრანსი“ ცაში აიჭრება — განაცხადა მომავალი ცერემონიალის ორგანიზატორმა იეს ბეპინმა.

სარბიელი

სპორტული ვაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის
დღეებში — კვირაში შვიდეჯერ

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფიცხვარი
რედაქტორი
თამარ მიზირაშვილი
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვასტანა ბუნიცაძე

ფეხბურთის განყოფილება:
ლამა ვოლუპე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონიე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხელიძე

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ვიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
თუზა კაციტაძე

ფოტორეპორტორები:
გურამ დოღონაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბიანიძე, ნათელა გიორგობანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარია ტაბიძე, ვაჟა ცარიძე, ვიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომგებები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოძროშაძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29